GNOMON WISEN

ანგარიში 2020

წანამძღვარი

Gnomon Wise - საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული, დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია, რომელიც 2019 წელს დაარსდა. ინსტიტუტის მიზანია, მრავალმხრივი, სანდო და კვალიფიციური კვლევების გზით აწარმოოს ცოდნა, რაც ხელს შეუწყობს თითოეული ადამიანის კეთილდღეობას.

2020 წელს კორონა ვირუსის პანდემია როგორც მთელი მსოფლიოს, ასევე Gnomon Wise-ის მთავარ გამოწვევადაც იქცა და მისი დღის წესრიგი განსაზღვრა. ამდენად, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენი გუნდი ცდილობდა ამ რთული ვითარების შემსუბუქებაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა.

2020 წელს საქართველოს და მის სამეზობლოს კიდევ ერთი გამოწვევის გადატანა მოუხდა. ეს იყო მთიანი ყარაბაღის გაყინული კონფლიქტის გააქტიურება, რომელმაც სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სტაბილურობა კიდევ ერთხელ შეარყია. Gnomon Wise პირველივე წუთებიდან ცდილობდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა ანალიტიკური დოკუმენტების, პოდკასტებისა თუ პანელური დისკუსიის გამართვის გზით.

გლობალურ პრობლემებთან ერთად, მიმდინარე წელს, საქართველოს ლოკალური გამოწვევებიც უხვად ჰქონდა. 2020 წელი იყო უმნიშვნელოვანესი იმ კუთხით, რომ შემოდგომაზე, პანდემიის პირობებში ჩასატარებელ არჩევნებს ქვეყნის სამომავლო მიმართულებისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ბუნებრივია, ამ პროცესებს Gnomon Wise შესაბამისი ანალიზითა და დისკუსიით გამოეხმაურა. თემატურად უაღრესად დატვირთული, კრიზისული წლის მიუხედავად, Gnomon Wise-ის გუნდმა შეძლო ისეთ საკითხებზე მუშაობაც, რომელთა კვლევა და ანალიზი ქვეყნის სამომავლო განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი გუნდი მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართული იყო ჩვენს აქტივობებში და წვლილი შეიტანა საზოგადოებისთის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაში. განსაკუთრებულ მადლობას კი ჩვენს მკითხველებს ვუხდით, რომელთა უკუკავშირი კიდევ უფრო გვავითარებს.

წინამდებარე დოკუმენტში მოკლედ წარმოგიდგენთ იმ ძირითად აქტივობებს, რომლებიც 2020 წლის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა განახორციელა.

მოსაზრება

ახალ კორონავირუსთან ბრძოლის სტრატეგია
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
24/03/20 (იხ. ბმული)

სიტყვის თავისუფლება პანდემიის დროს და ცენზურის როლი Covid-19-ის გავრცელებაში
ავტორი: დავით ქუტიძე
27/03/2020 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

"უსაფრთხოების სახელით" შეზღუდული უფლებები
ავტორი: თამარ ქეცბაია
11/05/2020 (იხ. ბმული)

Covid-19: რატომ ვერ განმეორდება იტალია საქართველოში?
ავტორი: ეგნატე შამუგია
17/05/2020 (იხ. ბმული)

პანდემიის სამართავად მთავრობისთვის გადაცემული ძალაუფლების ეკონომიკური ანალიზი
ავტორი: ეგნატე შამუგია
26/10/2020 (იხ. ბმული)

კვლევა

Covid-19-ის კლინიკური მახასიათებლები: სისტემური მიმოხილვა და მეტა-ანალიზი
ავტორი: ეგნატე შამუგია
08/04/2020 (იხ. ბმული)

პოლიტიკის დოკუმენტი

ახალი კორონავირუსი: ეკონომიკა, სამართალი და პოლიტიკა
ავტორები: ალექსანდრე რაქვიაშვილი, ირინა გურგენაშვილი, დავით ქუტიძე, თამარ ქეცბაია
17/04/2020 (იხ.ბმული)

მოსაზრება

ქართული მედიის გამოწვევები - შეუქცევადი პროგრესის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა
ავტორი: დავით ქუტიძე
30/01/2020 (იხ. ბმული)

კორონავირუსი - რუსული პროპაგანდის ახალი ინსპირაცია ანტიდასავლური მესიჯების გავრცელებისთვის
ავტორი: დავით ქუტიძე
24/02/2020 (იხ. ბმული)

საქართველოს გაუარესებული მაჩვენებლები საერთაშორისო რეიტინგებში და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები როგორც ფინალური გამოცდა
ავტორი: დავით ქუტიძე
20/03/2020 (იხ. ბმული)

მულტისავალუტო რეჟიმი - ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კომენტარის ანალიზი
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
15/06/2020 (იხ. ბმული)

დაგეგმილი პოლიტიკური ფემიციდი
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
19/06/2020 (იხ. ბმული)

სიღარიბესთან ბრძოლის ილუზია - აქციზები
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
29/07/2020 (იხ. ბმული)

სიღარიბესთან ბრძოლის ილუზია - საპენსიო ფონდი
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
22/08/2020 (იხ. ბმული)

ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია (ნაწილი 1): კონფლიქტის ისტორია და მედიაციის სისუსტე
ავტორი: ირინა გურგენაშვილი
02/10/2020 (იხ. ბმული)

ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია (ნაწილი 2): რატომ არ დგება ზავი?
ავტორი: ირინა გურგენაშვილი
27/10/2020 (იხ. ბმული)

არჩევნები როგორც ლეგიტიმაციის მოპოვების მთავარი გზა და ყველაზე დიდი პოლიტიკური სპექტაკლი
ავტორი: ალექსანდრე რაქვიაშვილი
01/12/2020 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

კითხვები აკადემიურ ხარისხთან - პლაგიატის პრობლემა საქართველოში
ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 28/01/2020 (იხ.ბმული)

დოკუმენტში მიმოხილულია სხვადასხვა პრევენციული და პრეემფციული მიდგომა პლაგიატთან, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე აკადემიურ დანაშაულთან დაკავშირებით და ამავდროულად გააანალიზებულია საქართველოს აკადემიურ სივრცეში ამ კუთხით არსებული გამოწვევები.

რატომ უჭირთ რეალურ და გადამოწმებულ ამბებს დეზინფორმაციის განეიტრალება?!
ავტორი: დავით ქუტიძე - 19/07/2020 (იხ. ბმული)

დოკუმენტში ახსნილია ის მიზეზები და გარემოებები თუ რატომ ვრცელდება ყალბი ამბები მეტად სწრაფად, ვიდრე იმავე ამბების გადამოწმებული ვერსიები. ავტორი მიმოიხილავს პროპაგანდის ტექნიკებს და მანიპულირების მავნე გავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ამასთან, ვინაიდან პანდემიის პერიოდსაც დეზინფორმაციის არაერთი გამოვლინება ახლავს თან, დოკუმენტში ასევე ვხვდებით კორონა ვირუსთან დაკავშრებით გავრცელებული მითების ანალიზსაც.

სიძულვილის ენასთან ბრძოლის სახელით შეზღუდული გამოხატვის თავისუფლება?!
ავტორი: დავით ქუტიძე, ირინა გურგენაშვილი - 01/09/2020 (იხ. ბმული)

დოკუმენტში წარმოდგენილია მსჯელობა თუ სად გადის ზღვარი სიძულვილის ენის რეგულირებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. ამ მხრივ მკვლევარებმა გააანალიზეს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება "მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", რომლის ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი სწორედ სიძულვილის ენის რეგულირებაა. ამასთან, აღნიშნულთან მიმართებით, ავტორებმა მიმოიხილეს სხვა ქვეყნების პრაქტიკაც, მათი პოზიტიური თუ ნეგატიური გამოცდილება.

სამართლის უზენაესობა ,,ქამელეონი სასამართლოს" იურისპრუდენციაში
ავტორი: დავით ზედელაშვილი - 05/10/2020 (იხ. ბმული)

სამუშაო სტატიაში განხილულია ე.წ. "ქალთა კვოტირების" საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება. ავტორის მოსაზრებით, ამ გადაწყვეტილებით გენდერული ნიშნით პოზიტიური ზომების კონსტიტუციური სტატუსი შორსაა დოქტრინული ჩამოყალიბებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამყარებისგან. გადაწყვეტილება არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ საფუძვლებზეა დაშენებული, რაც "ქამელეონი სასამართლოს" ზოგადი სტრატეგიიდან გამომდინარეობს, რაც თავის მხრივ საშუალებას აძლევს სასმართლოს ადაპტირდეს მუმდივად ცვალდებადი ძალაუფლების ცენტრების მიერ განსაზღვრულ ცვალებად და წინააღმდეგობრივ "წითელ ხაზებთან" და დავალებებთან.

კერძო საკუთრება და ეკონომიკური განვითარება

ავტორები: ალექსანდრე რაქვიაშვილი, ანა ხურციძე, თამარ ქეცბაია

27/05/2020 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: დოკუმენტის მიზანს კერძო საკუთრების გავრცელების არეალის გაფართოების მნიშვნელობის ილუსტრაცია (განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკისთვის) და ამავდროულად, ამ პროცესთან დაკავშირებით საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპების დანგრევა წარმოადგენს.

მიზნის მისაღწევად, არსებული აკადემიური კვლევები და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებია მიმოხილული, შესწავლილია კონკრეტული პრივატიზაციის და რეფორმების შედეგები და მათი გავლენა როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე, ცალკეული აქტივების ეფექტიანობის დინამიკაზე.

ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ რა ეკონომიკური ეფექტები შეიძლება მოყვეს სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადასვლას საქართველოში. რადგან, ეკონომიკური პროგნოზირება ყოველთვის დიდ განუსაზღვრელობასთან არის დაკავშირებული, გამოთვლები მხოლოდ იმ სფეროებს ეხება, სადაც შედარებით სანდო ინფორმაცია გაგვაჩია. ეს არის: 288 მსხვილი და საშუალო სახელმწიფო კომპანია, ტყის ფონდი და წიაღის სააგენტოს ინვესტიციური შეთავაზებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ აქტივებისა, რომელთაც სახელმწიფო ფლობს, მათი პრივატიზაციის შედეგის პროგნოზირება, თვით პროცესის და მისი მიზანშეწონილობის შეფასების კარგი ინსტრუმენტია.

საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემისა და მიმდინარე რეფორმების ანალიზი

ავტორები: ალექსანდრე რაქვიაშვილი; ეგნატე შამუგია

19/02/2020 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: კვლევის ფარგლებში განხორციელებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის კომპლექსური ანალიზი. პირველ რიგში, განხილულია დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე გატარებული რეფორმები. ნაჩვენებია, თუ რამდენი განსხვავებული მოდელი იყო დანერგილი სულ რაღაც 25 წლის მანძილზე და რა პრობლემები წარმოქმნა თითოეულმა მათგანმა. თეორიული კვლევის და სხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მოხდა ჯანდაცვის სისტემის პრობლემების გამოვლენა, რომლებიც ტიპურია რეფორმების განსხვავებული მოდელებისთვის. ყურადღება გამახვილებულია ე.წ. DRG-ის სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხშირად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზად მოიხსენიება.

სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენებით შევამოწმეთ, თუ რამდენად თანხვედრაშია საქართველოში არსებული მდგომარეობა იმ ტენდენციებთან, რომლებიც დაფიქსირდა განვითარებულ ქვეყნებში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, 537 909 ჰოსპიტალიზაციის შემთხვევიდან, სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით შევისწავლეთ 126 248 შემთხვევა. ჩვენ მიერ განხორციელებულ ანალიზზე, სხვა ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების შედეგად დაგროვილ გამოცდილებაზე და თეორიულ კვლევებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, თუ როგორ გავზარდოთ ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობა.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეტერმინანტები სამხრეთ კავკასიაში - ემპირიული ანალიზი

ავტორები: ეგნატე შამუგია, თამარ ქეცბაია

04/09/2020 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წინამდებარე კვლევის მიზანს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) დონეზე მოქმედი სოციო-ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება წარმოადგენს. ამისათვის კი გაანალიზებულია 1997-2018 წლების პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი და პოტენციური გავლენის მქონე ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული/გეოგრაფიული ცვლადები. უშუალოდ ანალიზისთვის GMM შემფასებელია გამოყენებული. ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულზე დადებითი გავლენა დანაშაულის წარსულ დონესა და ურბანიზაციას გააჩნია. ხოლო უარყოფითი კი - დანაშაულის გახსნის მაჩვენებლისა და რეალური ხელფასის ცვლილებას. რაც შეეხება ემპირიულ ანალიზში გამოყენებულ სხვა სოციო-ეკონომიკურ ცვლადებს, მათ შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ დასტურდება, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონით შეიძლება აიხსნას.

ხუთშაბათის პოდკასტი

ეპიზოდი 1: კავკასიის მიმოხილვა - გია ჯაფარიძე & ეგნატე შამუგია
01/10/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 2: აკადემიური თავისუფლება - ალექსანდრე რაქვიაშვილი & ირინა გურგენაშვილი
08/10/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 3: საზღვრების დელიმიტაცია - დემარკაცია: პროცედურა, უფლებამოსილებები, გამოწვევები - შოთა ღვინერია & ირინა გურგენაშვილი
15/10/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 4: აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პოლიტიკა - დავით ზედელაშვილი & თამარ ქეცბაია
22/10/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 5: მედია წინასაარჩევნო პერიოდში - მარიამ გერსამია & დავით ქუტიძე
29/10/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 6: პატიმრის დილემა საარჩევნო ავტორიტარიზმის პირისპირ?
ზურაბ ჭიაბერაშვილი & დავით ზედელაშვილი
05/11/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 7: საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა - მალხაზ რეხვიაშვილი & ირინა გურგენაშვილი
12/11/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 8: ინსტიტუტები, ეკონომიკა და სამართლებრივი დაურწმუნებლობის ფასი
დავით ზედელაშვილი & ეგნატე შამუგია
19/11/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 9: დანაშაულის სტატისტიკა - ეგნატე შამუგია & თამარ ქეცბაია
26/11/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 10: არჩევნები როგორც ლეგიტიმაციის მოპოვების მთავარი გზა და ყველაზე დიდი პოლიტიკური სპექტაკლი - ალექსანდრე რაქვიაშვილი & ირინა გურგენაშვილი
03/12/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 11: სიძულვილის ენის რეგულირების მცდელობები - საფრთხე სიტყვის თავისუფლებისთვის - მარიამ გოგოსაშვილი & დავით ქუტიძე
10/12/2020 (იხ. ბმული)

ეპიზოდი 12: ყარაბაღის კონფლიქტის ანატომია - ვინ "გაიმარჯვა" ომში?
გიორგი გოგუაძე & ირინა გურგენაშვილი
17/12/2020 (იხ. ბმული)

ღონისძიებები

2020 წლის 18 თებერვალს გაიმართა კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის კვლევის პრეზენტაცია- "საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის და მიმდინარე რეფორმების ანალიზი".

კვლევის შედეგები წარმოადგინეს ავტორებმა: **ალექსანდრე რაქვიაშვილმა** და **ეგნატე შამუგიამ.**

2020 წლის 22 აპრილს საქართველოს უნივერსიტეტის Facebook გვერდზე გაიმართა კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია - "ახალი კორონა ვირუსი - ეკონომიკა, სამართალი და პოლიტიკა".

პოლიტიკის დოკუმენტი წარადგინეს ავტორებმა: **ირინა გურგენაშვილმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა** და **თამარ ქეცბაიამ.** (იხ. ვიდეო)

2020 წლის 8 ოქტომბერს, Gnomon Wise-ის და საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზებით, გაიმართა პანელური დისკუსია: "ყარაბაღის კონფლიქტი - დიდი გამოწვევა პატარა რეგიონისთვის".

დისკუსიაში მონაწილეობდნენ: **გია ჯაფარიძე** (ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის უფროსი მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი); **თორნიკე შარაშენიძე** (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი); **გიორგი გოგუაძე** (საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD) დირექტორი); **ნოდარ ხარშილაძე** (საქართველოს სტრატეგიის ანალიზის ცენტრის (GSAC) ხელმძღვანელი. დისკუსიას გაუძღვა **ირინა გურგენაშვილი** (Gnomon Wise-ის მკვლევარი). (იხ. ვიდეო).

2020 წლის 15 ოქტომბერს, Gnomon Wise-ის მკვლევარმა, **დავით ქუტიძემ** ყაზახური პროექტის, Media Me ფარგლებში, ყაზახური აუდიტორიისთვის (ჟურნალისტები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მონაწილეები) ჩაატარა ვებინარი თემაზე - "რატომ უჭირთ რეალურ და გადამოწმებულ ამბებს დეზინფორმაციის განეიტრალება?!"

2020 წლის 13 ნოემბერს, Gnomon Wise-ის მკვლევარმა დავით ქუტიძემ მონაწილეობა მიიღო ცენტრალური აზიის XI ფორუმზე: "InternetCA-2020 განვითარება ცენტრალურ აზიაში". კონფერენციის ერთ-ერთი პანელი შეეხო პანდემიის დროს ინტერნეტის მოხმარების ტენდენციებს და დეზინფორმაციის საფრთხეს, რომლის ფარგლებშიც დავით ქუტიძემ ყალბი ამბებისა და რუსული დეზინფორმაციის შესახებ ისაუბრა. (იხ. ვიდეო)

2020 წლის 21 ოქტომბერს, Gnomon Wise-ის მკვლევარი, პროფესორი დავით ზედელაშვილი მომხსენებლად წარსდგა კონფერენციაზე: "კონსტიტუციონალიზმის კონსოლიდაცია ახალ დემოკრატიებში: პერსპექტივები ევრაზიიდან II". კონფერენციას მასპინძლობდა ნაგოიას უნივერსიტეტის სამართლის უმაღლესი სკოლა და აზიური სამართლებრივი გაცვლების ცენტრი (იაპონია).

2020 წლის 16 დეკემბერს, Gnomon Wise -ის ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ დისკუსია: "საქართველოს ჯანდაცვის სისტემა: ძველი პრობლემები და ახალი გამოწვევები".

დისკუსიაში მონაწილეობდნენ: **ზურაბ ჭიაბერაშვილი** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი); **სერგო ჩიხლაძე** (ჯანდაცვის ექსპერტი); დისკუსიას უძღვებოდა **ალექსანდრე რაქვიაშვილი** (Gnomon Wise -ის მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი).
(იხ. დისკუსიის ვიდეო)

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო

www.gnomonwise.org